



პრეს რელიზი

კომპანია ბი-პი და საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი აგრძელებენ თანამშრომლობას 2020 წლის ჩათვლით

6 მარტი 2017 წელი

კომპანია ბი-პი საქართველომ დღეს განაცხადა, რომ ის აგრძელებს თანამშრომლობას საქართველოს ეროვნულ პარალიმპიურ კომიტეტთან და საქართველოს პარასპორტსმენებთან 2020 წლის ჩათვლით.

თანამშრომლობის გაგრძელების შესახებ ოფიციალურად ცნობილი გახდა საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტს, ბატონ შალვა მაისურაძეს და კომპანია ბი-პი საქართველოს გენერალურ მენეჯერს, ბატონ კრის შლიტერს შორის პარასპორტის განვითარების ცენტრში გამართულ ხელმოწერის ცერემონიაზე.

ღონისძიების მონაწილეებს მიმართეს საქართველოს სპორტის და ახალგაზრდობის მინისტრმა, ბატონმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა. მიმართვაში აღნიშნული იყო, რომ საქართველოში პარასპორტის განვითარებისთვის სახელმწიფოს გრძელვადიანი გეგმები აქვს და მიაჩნია, რომ მნიშვნელოვანია მხარდაჭერა ბიზნესის მხრიდან, რასაც კომპანია ბი-პი-ს და ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის ნაყოფიერი თანამშრომლობა ადასტურებს.

ხელშეკრულების თანახმად კომპანია ბი-პი საქართველომ საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის ოფიციალური პარტნიორის სტატუსი 2016 წელს რიოში შემდგარი პარალიმპიური თამაშების შემდეგაც შეინარჩუნა, 2020 წლის პარალიმპიური თამაშების ჩათვლით, რომელსაც ტოკიო უმასპინძლებს.

კომპანია ბი-პი გააგრძელებს თანამშრომლობას საქართველოს ეროვნულ პარალიმპიურ კომიტეტთან და ხელს შეუწყობს თავის ელჩ პარასპორტსმენებს - ზვიად გოგოჭურს, რიოს პარალიმპიური თამაშების ოქროს მფლობელი ძიუდოში, ნიკა თვაურს, მოცურავე და ირმა ხეცურიანს, მოფარიკავე - საქართველოში პარალიმპიური მოძრაობის პოპულარიზაციაში და 2020 წელს ტოკიოს პარალიმპიური თამაშებისთვის მზადებაში.

ბატონმა კრის შლიტერმა, კომპანია ბი-პი-ს გენერალურმა მენეჯერმა საქართველოში განაცხადა: 'ჩვენ გვეამაყება რომ ჩვენი ელჩი-სპორტსმენები მსოფლიო ღონის პარასპორტსმენები არიან. მათი შინაგანი ენერჯია და წარმატება ჩემთვის და ჩემი

კოლეგებისთვის ისევე როგორც საქართველოს მოქალაქეებისთვის შთაგონების წყაროა. კომპანია ბი-პი პრივილეგიად მიიჩნევს, რომ საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის პირველი ოფიციალური პარტნიორია 2011 წლიდან დღემდე. ჩვენ მოხარული ვართ, რომ შევძელით საქართველოში პარალიმპიური მოძრაობის განვითარების ხელშეწყობა. ჩვენ ვაგრძელებთ თამანშრომლობას საქართველოს ეროვნულ პარალიმპიურ კომიტეტთან და ჩვენ ელჩ პარასპორტსმენებთან მათ მიერ საერთაშორისო არენაზე, რიოს პარალიმპიურ თამაშებზე მიღწეული შედეგების განსამტკიცებლად’.

ბატონმა შალვა მაისურაძემ, საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის პრეზიდენტმა განაცხადა: ‘საქართველოს პარალიმპიური მოძრაობისათვის მნიშვნელოვანია ისეთი ძლიერი კომპანიების თანადგომა, როგორც ბი-პი საქართველოა. იგი იყო საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის პირველი ოფიციალური პარტნიორი და მოხარულები ვართ რომ ჩვენი ურთიერთობა გრძელდება 2020 წლამდე, რაც ხელს შეუწყობს პარალიმპიური მოძრაობის კიდევ უფრო განვითარებას საქართველოში. ასევე ძალიან მნიშვნელოვანია ბი-პი-ს ელჩი სპორტსმენების მხარდაჭერის პროგრამა, რომელიც არის კომპანიის პარა სპორტსმენისადმი თანადგომის უპრეცედენტო მაგალითი.

ჩვენ იმედს ვიტოვებთ, რომ ეს პარტნიორული ურთიერთობა იქნება გადამდები და სხვა კომპანიებიც გამოთქვავენ სურვილს გახდნენ საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის სპონსორები.

თუმცა ინფორმაციისათვის მინდა მოგახსენოთ, რომ ასეთი ურთიერთობა უკვე ყალიბდება, ვითიბი ბანკმა საფუძველი ჩაუყარა საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტის ზამთრის პარა სპორტის განვითარებას საქართველოში. მისი სპონსორობით სამთო სათხილამურო სპორტის სახეობაში და თხილამურებით კროსში 2 პარასპორტსმენმა და 2 მწვრთნელმა გაიარა თეორიული და პრაქტიკული სწავლების სემინარები, პოლონეთის ზამთრის კურორტ ჯეკუსიცეში და საკმაოდ წარმატებულად. ასევე ბანკმა უკვე გადმოგვცა 2 სათხილამურო ეტლის შესაძენი თანხა.’

პარასპორტსმენები ამჟამად სხვადასხვა ტურნირებისთვის ემზადებიან. **ირმა ხეცურიანმა** ახლახანს ეგერში გამართულ მსოფლიო თასის შეჯიბრზე ეტლით მოფარკავეთა შორის ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. დღეს პარასპორტის განვითარების ცენტრში ირმა ხეცურიანმა საჩვენებელი თამაში გამართა და განაცხადა: „ვემზადები იტალიაში მსოფლიო თასის თამაშებზე გასამგზავრებლად, რომელიც იტალიის ქალაქ პიზაში გაიმართება 16-20 მარტს. ორი სახის იარაღით ბროძოლაში გამოვალ. რაპირა, რომელიც პარალიმპიური სახეობაა და რომელშიც ვერცხლის ან ისევ ბრინჯაოს მოპოვების დიდი შანსი მაქვს. ხმალში კი აუცილებლად პირველი ადგილის და ოქროს მედალისთვის ვიბრძოლებ’.

ნიკა თვაური განაგრძობს მზადებას ღია ჩემპიონატისთვის ცურვაში უსინათლოთა შორის, რომელიც ივლისში გერმანიაში გაიმართება. ‘წელს ორი მნიშვნელოვანი საერთაშორისო შეჯიბრია ჩემს კატეგორიაში და ყოველდღე ინტენსიურად ვვარჯიშობ რომ გამარჯვება

მოვიპოვო. გერმანიის საკვალიფიკაციო რაუნდის წარმატებით ჩატარების შანსი მინდა გამოვიყენო და მსოფლიო ჩემპიონატზე გავემგზავრო, რომელიც სექტემბერში მექსიკაში ჩატარდება'. განაცხადა ნიკამ.

ზვიად გოგოჭური ბაკურიანში ორკვირიანი სპორტული შეკრების შემდეგ აგრძელებს მზადებას ევროპის ჩემპიონატისათვის, რომელიც გაიმართება ა.წ აგვისტოს თვეში, ბირმინგემში.

შენიშვნები რედაქტორებისთვის

კომპანია BP

კომპანია ბი-პი საქართველოში საქართველოს პარალიმპიური კომიტეტის და საქართველოს ელჩი პარასპორტსმენების ოფიციალური პარტნიორია 2011 წლიდან დღემდე. კომპანია ბი-პი საქართველომ ხელი შეუწყო საქართველოს პარალიმპიურ გუნდს განვითარების გეგმების განხორციელებაში და ლონდონის 2012 და რიოს 2016 წლის თამაშებისთვის მზადებაში. კომპანია ბი-პი პარალიმპიური მოძრაობის მარეგულირებელი ორგანოს საერთაშორისო პარალიმპიური კომიტეტის საერთაშორისო პარტნიორია.

კომპანია ბი-პი საქართველოში 1996 წელს შემოვიდა და პარტნიორების სახელით, 20 წელზე მეტია ახორციელებს ნავთობისა და გაზის ტრანზიტს საქართველოში. BP საქართველოში სამი სტრატეგიული ენერჯო პროექტის ოპერატორი და წამყვანი ინვესტორია. კომპანია ახორციელებს ბაქო-თბილისი-ჯეიჰანის და ბაქო-სუფსის ნავთობსადენების, აგრეთვე სამხრეთ კავკასიის მოქმედი გაზსადენის ოპერირებას და მისი გამტარუნარიანობის გაზრდის სამუშაოებს. საქართველოში დღემდე კომპანია ბი-პი-მ სამ მილიონზე მეტი აშშ დოლარის ინვესტიცია განახორციელა ბიზნეს და სოციალურ პროექტებში.

აღსანიშნავია ჩვენი წვლილი საქართველოს გაზით მომარაგებაში სამხრეთ კავკასიის გაზსადენიდან, რაც განსაკუთრებულ მნიშვნელობას შეიძენს მისი გაფართოების სამუშაოების დასრულების შემდეგ. დღეს სამხრეთ კავკასიის გაზსადენის გაფართოების სამუშაოებზე დასაქმებულია 3200-ზე მეტი საქართველოს მოქალაქე.

საქართველოში ჩვენ 500-ზე მეტ თანამშრომელს ვასაქმებთ და ვქმნით ბიზნესშესაძლებლობებს ადგილობრივი მომწოდებლებისა და კონტრაქტორებისთვის. გასული წლების განმავლობაში, ჩვენი მხარდაჭერით განხორციელდა ადგილობრივი მოსახლეობისა და ბიზნესის განვითარების ხელშემწყობი ინიციატივები, განათლების, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობისა და ბუნებრივი გარემოს დაცვის პროგრამები.

საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი

პარალიმპიურ მოძრაობას საფუძველი დიდ ბრიტანეთში მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ჩაეყარა და სპინალური დაზიანების მქონე ვეტერანთა სოციალურ რეაბილიტაციას ისახავდა

მიზნად. პირველი პარალიმპიური თამაშები რომში 1960 წელს გაიმართა, ხოლო 1988 წლიდან ის ოთხ წელიწადში ერთხელ ოლიმპიურ წელს იგივე ქალაქებში და სპორტულ არენებზე ტარდება, სადაც ოლიმპიური თამაშები.

საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი (სეპკ) 2003 წელს დაარსდა. პირველად პარალიმპიადაზე საქართველომ 2008 წელს პეკინში 1 პარასპორტსმენით იასპარეზა, ხოლო 2016 წელს რიოში უკვე წარმოდგენილი იყო 5 ლიცენზიანტით. **ამჟამად, იწყება 2020 წლის ტოკიოს პარალიმპიური თამაშებისთვის მზადების ციკლი.** პარასპორტსმენები შეეცდებიან ლიცენზიების მოპოვებას სპორტის შემდეგ სახეობებში: პარა ძიუდო, პარა ცურვა, ეტილით ფარიკაობა, პარა წოლჭიმი, პარა მშვილდოსნობა, პარა სროლა, მჯდომარე ფრენბურთი, უსინათლოთა ფეხბურთი, ბოჩა, პარა ჩოგბურთი, პარა მაგიდის ჩოგბურთი და მძლეოსნობა. 2011 წლიდან BP საქართველო არის სეპკ-ის ოფიციალური პარტნიორი და ხელი შეუწყო პარასპორტსმენების მზადებას და მონაწილეობას ლონდონის 2012 წლის და რიოს 2016 წლის პარალიმპიურ თამაშებზე. იგი იქნება ასევე ოფიციალური პარტნიორი 2020 წლის ტოკიოს პარალიმპიურ თამაშებზე.

საკონტაქტო ინფორმაცია

BP საქართველოს პრეს სამსახური: chantlat@bp.com 599 96 33 01

საქართველოს ეროვნული პარალიმპიური კომიტეტი: georgianparalympic@gmail.com